თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

მფრინავი ხარი

ოდესღაც ერთ სოფელში ერთი გლეხი ცხოვრობდა. სახელად იორამი ერქვა. ამ გლეხმა სოფლის მახლობლად ჭა გაჭრა და მთელი ოჯახი იქიდან ეზიდებოდა წყალს. ერთხელ იორამმა დაინახა, რომ კიბის საფეხური, რითაც ჭაში ჩადიოდნენ, ჩატეხილიყო. ,,ნეტავი ვინ ჩატეხა?" — გაუკვირდა გლეხს.

მეორე დღეს კიდევ ერთი საფეხური დახვდა ჩატეხილი. იორამმა გადაწყვიტა: მოდი, დავუდარაჯდები, გავიგებ ამ საქმეს ვინ ჩადისო. იქვე მდგარ ხეზე ავიდა და გაინაბა.

დიდხანს იცადა. დაღამდა. ძილი მოერია. უცებ რაღაცამ მოსჭრა თვალი. აიხედა და ცაზე მფრინავი ხარი დაინახა! ბალანი ისე უბრწყინავდა, თითქოს ზედ ალმასები მიმოუბნევიათო.

ხარი ჭაში ჩაეშვა და წყალს დაეწაფა. დალია, მერე კი თავის ოქროს რქებს კიბის საფეხურებზე დაუწყო ლესვა. უცებ ჭახანი გაისმა და მესამე საფეხურიც ჩატყდა.

— აი, თურმე, კიბის საფეხურებს ვინ ამტვრევს! — თქვა იორამმა.

რამდენიმე დღეს ასე უთვალთვალებდა იორამი ამ უცნაურ სანახაობას. ხარი ღამით მოფრინავდა ციდან, დალევდა წყალს და ისევ უკან მიფრინავდა. გლეხმა გაიფიქრა: მოდი ერთი, ამ ხარს კუდში ხელს ჩავავლებ და ცაში ავფრინდები. ვნახავ მაინც, იქ რა ხდებაო.

ასეც მოიქცა. გაფრინდა ცაში. იფრინეს იორამმა და ხარმა, იფრინეს და ბოლოს მთვარეზე დაეშვნენ.

იორამი მთვარეზე დასახლდა, მაგრამ მალე მოსწყინდა იქაურობა, თავისი სახლ-კარი მოენატრა და მიწაზე დაბრუნება გადაწყვიტა. ადგა, ისევ ჩაავლო ხარს კუდში ხელი და მშვიდობიანად დაეშვა თავის სოფელში.

LIVEWORKSHEETS

იორამი შინ დაბრუნდა და მოჰყვა, როგორ გაფრინდა მთვარეზე და რა ნახა იქ. მაშინ მისმა ცოლ-შვილმაც მოისურვა მთვარეზე გაფრენა.

— კარგი, ჩქარა მოემზადეთ და გავფრინდეთ, ოღონდ იცოდეთ, არავისთან კრინტი არ დაძრათ! — გააფრთხილა ცოლ-შვილი.

ერთმა მეზობელმა ქალმა დაინახა, რომ იორამი, მისი ცოლი და შვილები ირთვებოდნენ. გულმა ვეღარ გაუძლო და იკითხა:

— ასე რატომ გამოწყობილხართ, საით მიემგზავრებით?

იორამის ცოლს სულმა წასძლია და ტრაბახს მოჰყვა:

— ამაღამ მთვარეზე მივფრინავთ, ოღონდ არავის უთხრა!

წავიდა დედაკაცი და მეორეს უთხრა ეს საიდუმლო. მეორემ მესამეს უთხრა და მთვარეზე გაფრენის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ სოფელს. სოფლელებმაც გადაწყვიტეს მთვარეზე გაფრენა. შებინდდა თუ არა, ყველანი იორამს გაჰყვნენ კვალდაკვალ და ჭასთან შეგროვდნენ.

როცა მფრინავმა ხარმა წყალი დალია და გაფრენა დააპირა, იორამი ორივე ხელით ჩაეჭიდა კუდში. მეორე გლეხს დიდხანს არ უფიქრია და იორამს ფეხებში ჩაეჭიდა. იმას სხვებიც მიჰყვნენ და ხალხის ჯაჭვი ზეცაში აფრინდა.

ცოტა ხნის შემდეგ ერთმა გლეხმა იორამს ჰკითხა:

— ძმაო, დიდხანს უნდა ვიფრინოთ? ის მაინც გვითხარი, მთვარე რამხელაა.

— აი, ამოდენაა, — უპასუხა იორამმა, ხელები გაშალა და... ძირს მოადინა ტყაპანი! იორამს დანარჩენებიც თან მიჰყვნენ. ასე დასრულდა იორამისა და მისი ცნობისმოყვარე მეზობლების მოგზაურობა მთვარეზე.

LIVEWORKSHEETS

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. **რა შეამჩნია იორამმა?**

ა) კიბის საფეხური ჩატეხილიყო.
ბ) ჭაში წყალი დამშრალიყო.
გ) ჭიდან მეზობელი ეზიდებოდა წყალს.

2. **რას ნიშნავს სიტყვა <u>გაინაბა</u>?**

ა) გაიტრუნა. ბ) დაიძინა. გ) ჩაფიქრდა.

3. **რა დაადგინა იორამმა?**

ა) საფეხური მეზობელმა შემთხვევით ჩატეხა.
ბ) საფეხური ხარის სიმძიმემ ჩატეხა.
გ) საფეხური ხარმა რქებით ჩატეხა.

4. **რამ გადააწყვეტინა იორამს ხართან ერთად ცაში აფრენა?**

ა) თავმოყვარეობამ.
ბ) პატივმოყვარეობამ.
გ) ცნობისმოყვარეობამ.

5. **რატომ არ დარჩა იორამი მთვარეზე?**

ა) თავისი ოჯახი მოენატრა.
ბ) იქაურობა არ მოეწონა.
გ) ხარმა უფლება არ მისცა.

6. **რას ნიშნავს გამოთქმა „კრინტი არ დაძრათ“?**

ა) არავისთან არაფერი თქვათ.
ბ) არაფერი მოიმოქმედოთ.
გ) არაფერი წაიღოთ თან.

LIVEWORKSHEETS

7. რატომ გააფრთხილა იორამმა ცოლ-შვილი, კრინტი არ დაძრათო?

ა) არ სურდა მეზობლები აეფორიაქებინა.
ბ) არ სურდა საიდუმლო სხვებს გაეგოთ.
გ) არ სურდა ხარი გაებრაზებინა.

8. როგორ გაიგო სოფელმა იორამის მთვარეზე გაფრენის შესახებ?

ა) იორამის ცოლმა დაიტრაბახა.
ბ) იორამმა გააგებინა მეზობლებს.
გ) სოფლელებმა დაინახეს მფრინავი ხარი.

9. რას ნიშნავს გამოთქმა „სულმა წასძლია?"

ა) ვერ დაიჯერა. ბ) ვერ მოითმინა. გ) ვერ შეძლო.

10. რომელ წინადადებაშია შედარება?

ა) „ბალანი ისე უბრწყინავდა, თითქოს ალმასები მიმოუბნევიათო."
ბ) „რამდენიმე დღეს ასე უთვალთვალებდა იორამი ამ უცნაურ სანახაობას."
გ) „ჩაავლო ხარს კუდში ხელი და მშვიდობიანად დაეშვა თავის სოფელში."

11. რის გამო ჩამოცვივდნენ სოფლელები ძირს?

ა) იორამის გაბრაზების გამო.
ბ) იორამის დაუფიქრებლობის გამო.
გ) იორამის ცნობისმოყვარეობის გამო.

12. რა არის ზღაპრის მთავარი სათქმელი?

ა) ადამიანი ცნობისმოყვარე უნდა იყოს.
ბ) ადამიანმა ყველა საიდუმლო უნდა ამოხსნას.
გ) ადამიანს საიდუმლოს შენახვა უნდა შეეძლოს.

LIVEWORKSHEETS